საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 69223117**
თარიღი:**07/11/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.03.37.501) კომპანია "Hunan Road and Brigde Consrtaqcion LTD"-ს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით იჯარის ფორმით, ერთი წლის ვადით. გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ"ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე - 5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, გადაცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.03.37.501) კომპანია "Hunan Road and Brigde Consrtaqcion LTD"-ს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით იჯარის ფორმით, ერთი წლის ვადით.

მუხლი 2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 ოქტომბრის N50/46 განკარგულება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 4251 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.37.501) კომპანია "Hunan Road and Brigde Consrtaqcion LTD"- სათვის , პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით იჯარის ფორმით, სამი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი